ბათუმის
ნავიგაციის
უნივერსიტეტი




პროფესიული
საგანმანათლებლო
პროგრამების

# კატალოგი

2026


BNU




# ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი

რექტორი:
**პარმენ ხვედელიძე** პროფესორი, შორეული ნაოსნობის კაპიტანი

პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი:
**ლალი ხვედელიძე**

პროფესიული განათლების დეპარტამენტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის კოორდინატორი:
**ია ვერულიძე**

# შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი

შპს „ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი" (შემდგომში - ბნუ) წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად დაფუძნებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის სამეწარმეო იურიდიულ პირს, დაფუძნებულია კერძო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - უნივერსიტეტის სტატუსი და მოქმედებს როგორც ავტონომიური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების და მისი წესდების შესაბამისად.

## ისტორია და დღევანდელობა

- 1999 წელს დაარსდა „ბათუმის საზღვაო კოლეჯი - მეზღვაურთა სკოლა", რომლის ბაზაზე 2002 წელს ამოქმედდა საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრი "მერკური", რომელიც ემსახურებოდა მეზღვაურთა მომზადება-გადამზადებასა და სერტიფიცირებას. 2007 – „ბათუმის საზღვაო კოლეჯი მეზღვაურთა სკოლის" ბაზაზე დაფუძნდა „ბათუმის ნავიგაციის ინსტიტუტი საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრი", შემდგომში (2008 წ.) მას ეწოდა „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი" და 2013 წელს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (N04, 15.02.2013) მიენიჭა ავტორიზაცია (საგანმანათლებლო საქმიანობის უფლება). 2025 წლის ივნისიდან უნივერსიტეტს ეწოდა "ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი".

## უნივერსიტეტის ღირებულებები

- მრავალფეროვნება, თანასწორობა და ინკლუზია;
- ერთიანობა, არჩევანის, გადაწყვეტილების მიღების, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება;
- პროფესიონალიზმი, აკადემიური თავისუფლება, პასუხისმგებლობა და კეთილსინდისიერება;
- საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა;
- სოციალური პასუხისმგებლობა;
- ინოვაციებისადმი მზაობა.




## უნივერსიტეტის მისია

ბნუ-ს მისიაა უმაღლესი (საბაკალავრო, სამაგისტრო), პროფესიული და სასერტიფიკატო აქტუალური პროგრამებისა და კვლევითი პროექტების განხორციელებით უზრუნველყოს ხარისხიანი განათლება საზღვაო ტრანსპორტის, ლოგისტიკის, ტექნოლოგიების, მომსახურების, ადმინისტრირების, მართვის და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან სხვა სფეროებში, რაც შექმნის ცოდნისა და უნარების მუდმივად სრულყოფა-განახლების, პიროვნული და პროფესიული განვითარების, ადგილობრივ და საერთაშორისო შრომით და განათლების ბაზარზე კონკურენტუნარიანობისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობას.

ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებით, ინოვაციების გაზიარებით, კვლევების მხარდაჭერით, სწავლის სუბიექტებზე ორიენტირებული გარემოს შექმნით, ბნუ მიმართულია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის მხარდაჭერაზე, საზოგადოების განვითარების ხელშეწყობაზე და სოციალურ პასუხისმგებლობაზე.

## უნივერსიტეტის ხედვა

ბნუ-ს ხედვა ემყარება სტრატეგიულ მიზნებს, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ ბნუ დარჩეს დინამიურ და მომავალზე ორიენტირებულ ინსტიტუციად და დარგობრივ სივრცეში აღიარებულ ბრენდად, რომელიც განაპირობებს პოზიტიურ ცვლილებებს, მხარს უჭერს ინსტიტუციურ მდგრადობას, ოპერატიულ ეფექტურობას და სწავლა-სწავლების ხარისხში მუდმივ გაუმჯობესებას.

# მიღწევები

## ხარისხის მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტთან (ISO) შესაბამისობა

ბნუ-ში მოქმედებს ხარისხის მენეჯმენტის სისტემა (ISO) 2002 წლიდან. ბნუ-ს მიღებული აქვს ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნების შესაბამისობის სერტიფიკატი.

ხარისხის საერთაშორისო სერტიფიკატი არის ბნუ-ს საიმედოობის, ბნუ-ში მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის და მისი მუდმივი გაუმჯობესების, პერსონალის კომპეტენტურობისა და საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანობის გარანტი.

## ბნუ-ს, როგორც საზღვაო საგანმანათლებლო დაწესებულების, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა

Certificate of Quality Management System Conformity (ISO 9001:2015)

**European Maritime Safety Agency (EMSA) - ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს შემოწმება (2013, 2022), რომელმაც დაადასტურა, რომ მეზღვაურთა განათლება და მომზადება ბნუ-ში შეესაბამება საერთაშორისო მოთხოვნებს და სტანდარტებს.**

## ბნუ-ს, როგორც საზღვაო საგანმანათლებლო დაწესებულების, საქართველოში მიღებული შესაბამისობის დადასტურება

ბნუ გადის საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს აუდიტს, გააჩნია აღიარება როგორც დარგობრივ საზღვაო საგანმანათლებლო დაწესებულებას, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაცემული საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულების აღიარების სერტიფიკატი; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ყოველწლიური აუდიტის შედეგები.



## საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა

- INTERNATIONAL MARITIME LECTURERS ASSOCIATION (IMLA);
- INTERNATIONAL ASSOCIATION OF MARITIME UNIVERSITIES;
- THE BLACK SEA ASSOCIATION OF MARITIME INSTITUTIONS (BSAMI);
- THE NAUTICAL INSTITUTE;
- BALKAN AND BLACK SEA COMMISSION;
- ASIA MARITIME AND FISHERIES UNIVERSITIES FORUM;
- INTERNATIONAL ASSOCIATION OF MARITIME ECONOMIST;
- EUROPEAN VOCATIONAL TRAINING ASSOCIATION (EVTA);
- EUROPEAN ASSOCIATION OF INSTITUTES FOR VOCATIONAL TRAINING (EVBB);
- EUROPEAN ASSOCIATION FOR INTERNATIONAL EDUCATION;
- EUROPEAN UNIVERSITIES UNION.

# ნაწილი 1. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

- საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია
- გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია
- ელექტროობა
- ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
- ადმინისტრაციული სერვისები






# საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური;

**მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში/Secondary Vocational Qualification in Ship Deck Operation;

**პროგრამის მოცულობა:** 72 კრედიტი (სულ 1813 სთ).

**აქედან:** ზოგადი მოდულები 9 კრედიტის მოცულობით (225 სთ.), პროფესიული დარგობრივი მოდულები - 63 კრედიტების მოცულობით (1 588 სთ.) პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 52 (ქართულენოვანი სტუდენტებისთვის)/72 კვირას (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის), აქედან 3 თვე ეთმობა საზღვაო პრაქტიკას.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:**

- სრული ზოგადი განათლება;
- ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა N086 ან N100), რომელსაც დადგენილი წესით გასცემს შერჩეული სამედიცინო დაწესებულება (ჩამონათვალი განთავსებულია საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ვებგვერდზე www.mta.gov.ge).

## კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები

საზღვაო ტრანსპორტისა და მასთან დაკავშირებული ყველა სამსახურის საქმიანობა ეროვნულ კანონმდებლობასთან ერთად რეგულირდება საერთაშორისო ნორმებით. საზღვაო ტრანსპორტის დარგში საერთაშორისო მარეგულირებელ ორგანიზაციას წარმოადგენს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (IMO) და ასევე საერთაშორისო შრომის ორგანიზაცია (ILO). საერთაშორისო ინსტრუმენტებით დადგენილებების რეგულირებასა და კონტროლს საქართველოში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო.


საგემბანე განყოფილების რიგითი ვალდებულია შეასრულოს მოვალეობათა და პასუხისმგებლობათა ერთობლიობა STCW კონვენციის მეორე თავის II/4, II/5 რეგულაციებისა და საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა შესაბამისად (გემის უსაფრთხო ნავიგაციის უზრუნველყოფაში მონაწილეობა, მონაწილეობის მიღება ტვირთის დამუშავებასა და განლაგებაში, გემზე მყოფ ადამიანებზე ზრუნვა, გემის მიბმა მოხსნის ოპერაციებში მონაწილეობა და სხვ.).

სამუშაო და დასვენების საათები დგინდება STCW კონვენციის და საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის, მეზღვაურთა შრომის შესახებ 2006 წლის კონვენციისა (MLC 2006) და სფეროს მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

საქართველოს კანონის „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“, საგემბანე განყოფილების რიგითის სერტიფიცირების მოთხოვნათა დაკმაყოფილებისა და გემზე მუშაობის აღიარებული სტაჟის საფუძველზე საგემბანე განყოფილების რიგითი მეზღვაური შეიძლება დასაქმდეს: საზღვაო სავაჭრო (ნავთობმზიდ, ქიმზიდ, მშრალტვირთმზიდ, საკონტეინერო, აირმზიდ და სხვა ტიპის), სამგზავრო, ნავსადგურის დამხმარე ფლოტის, თევზსაჭერ და სხვა ტიპის მცურავ საშუალებებზე.

საგემბანე განყოფილების რიგითს შეუძლია დასაქმდეს მცურავ საშუალებებზე დამხმარე დონის პასუხისმგებლობის მეზღვაურის პოზიციაზე (კერძოდ, სანავიგაციო ვახტის რიგითი, მატროსი, ბოცმანი, დონკერმანი).

დასაქმების შესაძლო სფეროებს წარმოადგენს ასევე, საზღვაო ტრანსპორტის მომსახურებისა და ექსპლუატაციის სფეროსთან დაკავშირებული სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებები.



# მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

**საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში სწავლის შედეგებია:**

- მონაწილეობა მიიღოს უსაფრთხო ნავიგაციის უზრუნველყოფაში
- მონაწილეობა მიიღოს ტვირთის დამუშავებასა და განლაგებაში
- იზრუნოს გემზე მყოფ ადამიანებზე
- დაიცვას შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის წესები
- გაუწიოს სამედიცინო დახმარება
- გამოიყენოს ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა და გაუმკლავდეს ხანძარს
- გარემოს დაბინძურების პრევენცია
- გემბანის მოწყობილობებისა და მექანიზმების უსაფრთხო ექსპლუატაცია
- ინგლისურ ენაზე ზეპირი კომუნიკაცია



# გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური;

**მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში / Secondary Vocational Qualification in Ship Engine Room Operation;

**პროგრამის მოცულობა:** 67 კრედიტი (სულ 1692 საათი);

**აქედან:** ზოგადი მოდულები 9 კრედიტის მოცულობით (225 სთ.), პროფესიული დარგობრივი მოდულები - 58 კრედიტების მოცულობით (1 467 სთ.) პროგრამის ხალგრძლივობა შეადგენს 50 (ქართულენოვანი სტუდენტებისთვის)/70 კვირას (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის), აქედან 3 თვე ეთმობა საზღვაო პრაქტიკას.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:**

- სრული ზოგადი განათლება;
- ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა N086 ან N100), რომელსაც დადგენილი წესით გასცემს შერჩეული სამედიცინო დაწესებულება (ჩამონათვალი განთავსებულია საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ვებგვერდზე www.mta.gov.ge).

## კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები

საზღვაო ტრანსპორტისა და მასთან დაკავშირებული ყველა სამსახურის საქმიანობა ეროვნულ კანონმდებლობასთან ერთად რეგულირდება საერთაშორისო ნორმებით. საზღვაო ტრანსპორტის დარგში საერთაშორისო მარეგულირებელ ორგანიზაციას წარმოადგენს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (IMO) და ასევე საერთაშორისო შრომის ორგანიზაცია (ILO). საერთაშორისო ინსტრუმენტებით დადგენილებების რეგულირებასა და კონტროლს საქართველოში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო.

სამანქანე განყოფილების რიგითი ვალდებულია შეასრულოს მოვალეობათა და პასუხისმგებლობათა ერთობლიობა STCW კონვენციის მესამე თავის III/4, III/5 რეგულაციებისა და საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა შესაბამისად (გემის მექანიკური დანადგარები, ელექტრომოწყობილობების, ელექტრონული აპარატურის, მართვის სისტემების, ტექნიკური მომსახურეობა და შეკეთება, გემზე მყოფ ადამიანებზე ზრუნვა, გემის ოპერაციების კონტროლი და სხვ.).

სამუშაო და დასვენების საათები დგინდება STCW კონვენციის და საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის, მეზღვაურთა შრომის შესახებ 2006 წლის კონვენციისა (MLC 2006) და სფეროს მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

საქართველოს კანონის „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“, სამანქანე განყოფილების რიგითის სერტიფიცირების მოთხოვნათა დაკმაყოფილებისა და გემზე მუშაობის აღიარებული სტაჟის საფუძველზე, სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური შეიძლება დასაქმდეს: საზღვაო სავაჭრო (ნავთობმზიდ, ქიმზიდ, მშრალტვირთმზიდ, საკონტეინერო, აირმზიდ და სხვა ტიპის), სამგზავრო, ნავსადგურის დამხმარე ფლოტის, თევზსაჭერ და სხვა ტიპის მცურავ საშუალებებზე.

სამანქანე განყოფილების რიგითს შეუძლია დასაქმდეს მცურავ საშუალებებზე დამხმარე დონის პასუხისმგებლობის მეზღვაურის პოზიციაზე (კერძოდ; სამანქანე ვახტის რიგითი, მოტორისტი, დონკერმანი, ხარატ-შემდუღებელი).

დასაქმების შესაძლო სფეროებს წარმოადგენს ასევე, საზღვაო ტრანსპორტის მომსახურებისა და ექსპლუატაციის სფეროსთან დაკავშირებული სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებები.



# მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

**საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში სწავლის შედეგებია:**

- გემის მექანიკური დანადგარების ექსპლუატაცია
- ელექტრომოწყობილობების, ელექტრონული აპარატურის, მართვის სისტემების, ტექნიკური მომსახურეობა და შეკეთება
- გემზე მყოფ ადამიანებზე ზრუნვა
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენა
- ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის გამოყენება და ხანძართან ბრძოლა
- გარემოს დაბინძურების პრევენცია
- სამანქანე განყოფილებაში ვახტაში მონაწილეობა
- სამანქანე განყოფილების ქვაბების, მექანიზმების, დანადგარების სისტემების ტექნიკური მომსახურება.

# საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტროობა

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ელექტროობა.

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში/Basic Vocational Qualification in Electricity

**პროგრამის მოცულობა:** 66 კრედიტი (სულ 1650 საათი);

**აქედან:** ზოგადი მოდულები 7 კრედიტის მოცულობით (175 სთ.), პროფესიული დარგობრივი მოდულები - 59 კრედიტების მოცულობით (1 475 სთ.) პროგრამის ხალგრძლივობა შეადგენს 46 (ქართულენოვანი სტუდენტებისთვის)/62 კვირას (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის).

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** საბაზო ზოგადი განათლება.

## კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები

ელექტრიკოსი შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში ელექტროდანადგარების მომსახურედ:

- მემონტაჟე ელექტრიკოსად
- შენობის ელექტრიკოსად
- გამანაწილებელი ქსელის ელექტრიკოსად
- ელექტრო-მექანიკოსად
- ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების ელექტრიკოსად.



# მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

- უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვა
- აღწეროს ელექტრული წრედების ელემენტები და საზომი ხელსაწყოები
- უზრუნველყოს ელექტროობის სისტემის ნახაზის შესრულება CAD-ის გამოყენებით
- აღწეროს ელექტრული მანქანები
- აღწეროს ელექტრული ტექნოლოგია
- უზრუნველყოს მუდმივი და ცვლადი დენების ანგარიში და წრედებში დანაკარგები
- გამოიყენოს მათემატიკა ელექტროობაში
- განახორციელოს ელექტროსამონტაჟო სამუშაოები
- უზრუნველყოს პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევა



# ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭრა

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support;

**პროგრამის მოცულობა:** 55 კრედიტი (სულ 1692 საათი);

**აქედან:** ზოგადი მოდულები 9 კრედიტის მოცულობით (225 სთ.), პროფესიული დარგობრივი მოდულები - 58 კრედიტების მოცულობით (1 150 სთ.) პროგრამის ხალგრძლივობა შეადგენს 45 (ქართულენოვანი სტუდენტებისთვის)/56 კვირას (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის), აქედან 5 კვირა ეთმობა პრაქტიკას.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** საბაზო ზოგადი განათლება.

## კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები

ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერი პროფილის და ზომის ორგანიზაციაში.

## მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

- უზრუნველყოს კომპიუტერის აპარატურული მხარდაჭერა (Hardware);
- უზრუნველყოს კომპიუტერის პროგრამული მხარდაჭერა (Software);
- იმუშაოს მობილურ, Linux და Windows Server ოპერაციულ სისტემებთან;
- გამართოს პერიფერიული მოწყობილობები;
- დაამონტაჟოს და გამართოს მცირე ზომის კომპიუტერული ქსელი;
- დაამონტაჟოს და გამართოს ვიდეო სამეთვალყურეო სისტემები;
- უზრუნველყოს კომპიუტერულ სისტემებში გაუმართაობების იდენტიფიცირება / აღმოფხვრა;
- უზრუნველყოს კომპიუტერული სისტემების მხარდაჭერა სამუშაო ადგილზე და დისტანციურ რეჟიმში.

# ადმინისტრაციული სერვისები

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ადმინისტრაციული სერვისები

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ადმინისტრაციულ სერვისებში/Secondary Vocational Qualification in Administrative Services;

**პროგრამის მოცულობა:** 70 კრედიტი (სულ 1762 საათი);

**აქედან:** ზოგადი მოდულები 15 კრედიტის მოცულობით (375 სთ.), პროფესიული დარგობრივი მოდულები - 55 კრედიტების მოცულობით (1 387 სთ.) პროგრამის ხალგრძლივობა შეადგენს 50 (ქართულენოვანი სტუდენტებისთვის)/61 კვირას (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის), აქედან 1 თვე ეთმობა პრაქტიკას.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება.

## კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები

ადმინისტრაციული სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს როგორც საჯარო, ასევე კერძო დაწესებულებებში, ორგანიზაციის შესაბამისი ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის სპეციალისტად, ხელმძღვანელის თანაშემწედ.

## მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

- დაგეგმოს შეხვედრები და მივლინებები;
- მართოს ორგანიზაციის დოკუმენტბრუნვა;
- მართოს ორგანიზაციის შესყიდვები და მომარაგება;
- გააფორმოს დოკუმენტების რეკვიზიტები და ბლანკები;
- მოამზადოს დოკუმენტები არქივისთვის;
- მოამზადოს დოკუმენტების პროექტები;
- აწარმოოს მიმოწერა სხვადასხვა საკითხებზე;
- დაგეგმოს პერსონალის/ადამიანური რესურსების მართვის საკითხები.

# ნაწილი 2. მატერიალურ - ტექნიკური რესურსები

## საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება შპს ”ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის” ბაზაზე, რომელიც მოიცავს:

- თანამედროვე ტექნიკით და შეუზღუდავი ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიებს და ლაბორატორიებს, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახებს;
- კომპიუტერულ კლასებს;
- უცხო ენის ლაბორატორიას;
- ნავიგაციის კაბინეტს;
- მექანიკის კაბინეტს;
- სასწავლო-საწვრთნელ გემს ”ელიტას”;
- ტრენაჟორული მომზადების ცენტრს, რომელიც აღჭურვილია ცნობილი ინგლისური კომპანიის „**ტრანზას-მარინი**”-ს მიერ წარმოებული და „**ტრანზას-ევრაზია**”-ს მიერ დამონტაჟებული სიმულატორებით და სპეცკაბინეტებით. გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის შესაბამისად;
- ბიბლიოთეკას;
- უზრუნველყოფილია საერთაშორისო **Witherby Seamanship Library** ელექტრონული ბიბლიოთეკით.



## სიმულატორები

- Engine Room Simulator ERS 2000/3000 - სამანქანე განყოფილების სიმულატორი;
- Liquid Cargo Handling Simulator (LCHS 4000/5000) - სატვირთო და საბალასტო ოპერაციების მართვის სიმულატორი;
- Navi - Trainer RADAR/ARPA/ECDIS/Ship Handling Simulator Pro 3000 სანავიგაციო სიმულატორი;
- Navi - Trainer Pro 5000 / ECDIS Navi Sailor 4000 - სანავიგაციო სიმულატორი;
- RADAR/ARPA Module Simulator - რადიოლოკაციური სადგურები, რადიოლოკაციური გავლება და ავტომატური რადიოლოკაციური სისტემების სიმულატორი;
- Global Maritime Distress and Safety Systems (GMDSS) Simulator TGS 5000 - უბედურ შემთხვევებში კავშირგაბმულობის გლობალური საზღვაო სისტემის სიმულატორი;
- Use of Electronic Chart Display and Informational Systems - ელექტრონულ-კარტოგრაფიული მოწყობილობების და ინფორმაციული სისტემების გამოყენების სიმულატორები;
- Ship Handling and Maneuvering Laboratory - გემის მართვისა და მანევრირების ლაბორატორია;
- Lifeboat Simulator - სამაშველო ნავის სიმულატორი;
- Fire-Fighting Training Facility - სანაპირო ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი.

## კაბინეტები

- Engine Team and Resource Management - სამანქანე განყოფილების გუნდურ მართვა/ პერსონალის მართვა კურსის კაბინეტი;
- Elementary First Aid - პირველადი სამედიცინო დახმარების კურსის კაბინეტი;
- Oil and Chemical Tanker - ნავთობ და ქიმმზიდ ტანკერზე სამუშაოების უსაფრთხოების კურსის კაბინეტი;
- Fire Prevention and Fire Fighting - ხანძრის თავიდან აცილება და ხანძართან ბრძოლის კურსის კაბინეტი;
- Personal Safety and Social Responsibilities - პირადი უსაფრთხოება და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის კურსის კაბინეტი;
- Personal Survival Techniques - პირადი გადარჩენის ტექნიკის კაბინეტი;
- Tanker Familiarization - ტანკერზე მუშაობის გაცნობითი კურსის კაბინეტი;
- ISPS Code -გემებისა და ნავსადგურების საშუალებების უსაფრთხოების კურსის კაბინეტი;

■ Dangerous Goods - საშიში და მავნე ტვირთების გადაზიდვის კურსის კაბინეტი;
■ Ship Handling Simulator and Bridge Teamand Resource Management -გემის მართვისა და სანავიგაციო ხიდურის გუნდური მართვა/პერსონალის მართვის კურსის კაბინეტი;

■ ECDIS - ელექტრონულ-კარტოგრაფიული მოწყობილობებისა და ინფორმაციული სისტემების გამოყენების კურსის კაბინეტი;

■ Global Maritime Distress and Safety Systems (GMDSS) - უბედურ შემთხვევებში კავშირგაბმულობის გლობალური საზღვაო სისტემის კურსის კაბინეტი;

■ RADAR Navigation, Radar Plotting, use of ARPA - რადიოლოკაციური სადგურები, რადიოლოკაციური გავლება და ავტომატური რადიოლოკაციური სისტემების გამოყენების კურსის კაბინეტი.

„გემბანის რიგითი მეზღვაურისა“ და „გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებით გათვალისწინებულ პრაქტიკებს პროფესიული სტუდენტები გადიან სასწავლო-საწვრთნელ გემ ”ელიტასა” და სხვა პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართულ პარტნიორ ორგანიზაციებთან.


ELITA
BATUMI
IMO8862466
















**ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი**

ბათუმი, თამარ მეფის გამზირი 38

+995 514 40 88 40

info@bnu.edu.ge

www.bnu.edu.ge

ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი • Batumi Navigation University